სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია
პროგრამის ხელმძღვანელი	თამარ ქობულაძე, ასოცირებული პროფესორი სოფიო ნადირაძე, ასისტენტი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	24.04.2026 №05-26

პროგრამის მიზანი

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების, განვითარებაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების და მხარდამჭერი სისტემების შესახებ.
2. შესძინოს მულტიდისციპლინური ცოდნა და უნარები ბავშვთა და მოზარდთა შეფასების, კონსულტირების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერვენციისა და პრევენციული მხარდაჭერის თანამედროვე მიდგომების, მათი მიკროსისტემის მნიშვნელოვან წევრებთან თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა კეთილდღეობას.
3. შესძინოს, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის გამოწვევების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, პროფესიული ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოების უნარებისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

4. ჩამოუყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებები და პროფესიული პრაქტიკის პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეძლებს შემთხვევების მართვას და ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობას საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორში, კულტურული მგრძნობელობის, სოციალური სამართლიანობისა და განსხვავებულობის პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

A. **ფლობს** კომპლექსურ ცოდნას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების, განვითარებაზე მოქმედი რისკ ფაქტორების და არსებული მხარდამჭერი შესაძლებლობების შესახებ მათი პროფესიული იდენტობის პერსპექტივიდან.

B. ჰოლისტურად **განიხილავს** ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სრულ ციკლს და თანამედროვე მიდგომებს, მათ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და გამოყენების სპეციფიკას ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფორმატში;

C. კომპლექსურად **იაზრებს** ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სფეროს კვლევის მეთოდოლოგიას და თავისებურებებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

D. **გეგმავს** და ახორციელებს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიურ შეფასებას, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ეკლექტური მიდგომით წარმართავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კონსულტირებასა და თერაპიულ ინტერვენციას.

E. **აწარმოებს** ეთიკურ პროფესიულ ზეპირსიტყვიერ და წერილობით კომუნიკაციას ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასების, კონსულტირების და ინტერვენციის პროცესში: თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით ადგენს პროფესიულ დოკუმენტაციას და ინტერდისციპლინური მიდგომით თანამშრომლობს კლიენტთან დაკავშირებულ სხვა სპეციალისტებთან.

F. **შეიმუშავებს** კვლევის დიზაინს და წარმართავს კვლევას ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, აანალიზებს შედეგების რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს SPSS და NVivo პროგრამების გამოყენებით, კვლევის მეთოდოლოგიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

G. **იცავს** პროფესიული ეთიკას და ღირებულებებს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბაშვებთან და მათი ოჯახის წევრებთან მუშაობისას.

H. სისტემატურად **ახორციელებს** პროფესიული საქმიანობის თვითრეფლექსიას, იყენებს სუპერვიზიის შესაძლებლობებს და სტრატეგიულად გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს კანდიდატს, რომელიც ფლობს შემდეგი კვალიფიკაციებიდან ერთ-ერთს:

- ფსიქოლოგიის ბაკალავრი
- ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი
- სოციალური მუშაობის ბაკალავრი
- დიპლომირებული მედიკოსი
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი

და ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (www.sabauni.edu.ge).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგის პროფესიული ფუნქციონირების არეალი მოიცავს ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემას (ადრეული განათლების ცენტრები, საბავშვო ბაღები, სკოლები, პროფესიული სასწავლებლები, უნივერსიტეტები), არაფორმალურ და ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სამედიცინო-კლინიკურ გარემოს (ჰოსპიტალები, ჰოსპისები, სპეციალიზირებული კლინიკები, პედიატრიული განყოფილებები, სარეაბილიტაციო ცენტრები, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებები, ადრეული ინტერვენციის ცენტრები, აბილიტაციის სერვისები), სახელმწიფო სტრუქტურებს (სოციალური მომსახურების სააგენტო, მანდატურის სამსახური, პენიტენციური დაწესებულებები, მუნიციპალური სერვის ცენტრები), ლოკალურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს (საკონსულტაციო ცენტრები, ინდივიდუალური პრაქტიკა სუპერვიზიით, კვლევითი ორგანიზაციები). პროფესიული განვითარების გზაზე სპეციალისტებს შეუძლიათ ჩაერთონ საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობაში, აწარმოონ კვლევები, გახდნენ აკადემიური პერსონალი და გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) ფსიქოლოგიის ან სხვა სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით

(საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის SPSS და Nvivo პროგრამები. არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას, რომელიცორიენტირებულია პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ინტეგრირებულ მიწოდებაზე და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება ოთხ სემესტრზე.

პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 102 კრედიტს, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს 12 კრედიტს და სამაგიტრო ნაშრომს 24 კრედიტის მოცულობით. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები ითვალისწინებს 18 კრედიტს, რომლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორს“ ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამებიდან.

პროგრამის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც 12 კრედიტს მოიცავს და ხორციელდება ორმაგი სუპერვიზიის სისტემით. პრაქტიკის გავლისას სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე თავად შეარჩიონ პრაქტიკის გავლის ადგილი სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებიდან, სადაც მიმდინარეობს ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობა. პრაქტიკის პროცესში სტუდენტები იმყოფებიან ორგანიზაციის გამოცდილი სპეციალისტებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ერთობლივი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილების მაღალ ხარისხს.

სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, ეთმობა 24 კრედიტი. სტუდენტები იძენენ თეორიული ჰიპოთეზების ემპირიული გზით შემოწმების, მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისა და გაანალიზებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ კომპონენტებს და სასურველია გამოყენებული იყოს კვლევის სხვადასხვა მეთოდი ან სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი			
			სემესტრი					
			I	II	III	IV	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
	სასწავლო კომპონენტი							
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები							
1.	წინაპირობის გარეშე	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	6/150				42	108
2.	წინაპირობის გარეშე	ქცევის ნეირომეცნიერება	6/150				42	108
3.	წინაპირობის გარეშე	განვითარების დარღვევები	6/150				29	121
4.	წინაპირობის გარეშე	თვისებრივი კვლევის მეთოდები	6/150				26	124
5.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის		6/150			28	122
6.	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრია		6/150			29	121
7.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით		6/150			42	108
8.	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები; თანაპირობა:ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრია	მიმართულებები და მიდგომები ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიაში		6/150			42	108

9.	წინაპირობის გარეშე	ოჯახის ფსიქოლოგია და ოჯახურ პრობლემებთან მუშაობის ინტეგრირებული მოდელი		6/150			29	121
10.	მიმართულებები და მიდგომები ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიაში, ქცევის ნეირომეცნიერება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოკონსულტირება			6/150		28	122
11.	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები	ფსიქო-საგანმანათლებლო შეფასება			6/150		28	122
		პრაქტიკული კომპონენტი						
12.	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები, მიმართულებები და მიდგომები ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიაში, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრია	პრაქტიკა			12/300		66	234
		კვლევითი კომპონენტი						
13.	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი (I-III სემესტრის ჩათვლით)	სამაგისტრო ნაშრომი				24/600	18	582
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები							
14	წინაპირობის გარეშე	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენციის მექანიზმები	6/150	+	+	+	40	110
15	წინაპირობის გარეშე	ფსიქოტრავმა და მისი მართვა ბავშვებსა და მოზარდებში	6/150	+	+	+	42	108
16	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები,	კომუნიკაციის, ენის, მეტყველების და კვებითი დარღვევები			6/150	+	29	121

	განვითარების დარღვევები, ქცევის ნეირომეცნიერება							
17	წინაპირობის გარეშე	ოკუპაციური თერაპია			6/150	+	28	122
18	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	ბავშვთა და მოზარდთა სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა საგანმანათლებლო სივრცეში .			6/150	+	29	121
19	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	ადიქციების ფსიქოლოგია და თერაპიული მხარდაჭერა მოზარდობის ასაკიდან ზრდასრულობამდე			6/150	+	29	121
20	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები, ქცევის ნეირომეცნიერება	დევიანტოლოგია და ინტერვენციის მექანიზმები			6/150	+	29	121
21	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები	სწავლა-სწავლების პროცესის ფსიქოლოგია			6/150	+	42	108
22	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების დარღვევები, ქცევის ნეირომეცნიერება	ინკლუზიური და სპეციალური განათლება			3/75	+	31	44
23	წინაპირობის გარეშე	სოციალური მუშაობა არასრულწლოვნებთან			3/75	+	29	46
24	წინაპირობის გარეშე	ბავშვთა და მოზარდთა მხარდაჭერის სერვისები ჯანდაცვაში			3/75	+	37	38
25	წინაპირობის გარეშე	ბავშვთა და მოზარდთა უფლებები			3/75	+	28	47
სემესტრში			30	30	30	30		
წელიწადში			60		60			
სულ			120					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა								
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები							
	ცოდნა და გაცნობიერება			უნარები			პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	A	B	C	D	E	F	G	H
მიზანი 1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტების, განვითარებაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების და მხარდამჭერი სისტემების შესახებ.	X	X	X					
მიზანი 2. შესძინოს მულტიდისციპლინური ცოდნა და უნარები ბავშვთა და მოზარდთა შეფასების, კონსულტირების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერვენციისა და პრევენციული მხარდაჭერის თანამედროვე მიდგომების შესახებ. ასევე, მათი მიკროსისტემის მნიშვნელოვან წევრებთან თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა კეთილდღეობას.		X		X	X			
მიზანი 3. შესძინოს, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის გამოწვევების სიღრმისეული ანალიზისა და გადაწყვეტის მიზნით, პროფესიული ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოების (აკადემიური წერის) უნარებისა და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.			X			X		
მიზანი 4. ჩამოუყალიბოს მაღალი ეთიკური ღირებულებები და პროფესიული პრაქტიკის პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეძლებს შემთხვევების მართვას და ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობას საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორში, კულტურული							X	X

მგრძნობელობის, სოციალური სამართლიანობისა და განსხვავებულობის პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.								

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები							
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)
1.	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	I	D	+	+					+	
2.	ქცევის ნეირომეცნიერება	D		+	+	+		+	+		
3.	განვითარების დარღვევები	I	D	+	+			+			
4.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	D	P			+			+	+	+
5.	ფსიქო-საგანმანათლებლო შეფასება	D	P		+	+	+	+			
6.	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრია	I	D	+	+	+	+	+	+	+	+
7.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	D	P			+			+	+	
8.	მიმართულებები და მიდგომები ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიაში	I	D	+	+		+	+		+	+
9.	ოჯახის ფსიქოლოგია და ოჯახურ პრობლემებთან მუშაობის ინტეგრირებული მოდელი	D		+	+		+	+		+	
10.	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოკონსულტირება	D		+	+		+	+		+	
11.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	D						+			
12.	პრაქტიკა	P	M	+	+		+	+		+	+
13.	სამაგისტრო ნაშრომი	P	M	+	+	+	+	+	+	+	+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები				
1	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები	+	+	+
2	ქცევის ნეირომეცნიერება	+	+	
3	განვითარების დარღვევები	+	+	
4	თვისებრივი კვლევის მეთოდები	+	+	+
5	ფსიქო-საგანმანათლებლო შეფასება	+	+	
6	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრია	+	+	+
7	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	+	+	+
8	მიმართულებები და მიდგომები ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიაში	+	+	+
9	ოჯახის ფსიქოლოგია და ოჯახურ პრობლემებთან მუშაობის ინტეგრირებული მოდელი	+	+	
10.	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოკონსულტირება	+	+	+
11.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	+	+	+
12.	პრაქტიკა	+	+	+
13.	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები				

14.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენციის მექანიზმები	+	+	
15.	ფსიქოტრავმა და მისი მართვა ბავშვებსა და მოზარდებში	+	+	
16.	კომუნიკაციის, ენის, მეტყველების და კვებითი დარღვევები	+	+	
17.	ოკუპაციური თერაპია	+	+	
18	ბავშვთა და მოზარდთა სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა საგანმანათლებლო სივრცეში .	+	+	+
19.	ადიქციების ფსიქოლოგია და თერაპიული მხარდაჭერა მოზარდობის ასაკიდან ზრდასრულობამდე	+	+	+
20.	დევიანტოლოგია და ინტერვენციის მექანიზმები	+	+	+
21.	სწავლა-სწავლების პროცესის ფსიქოლოგია	+	+	+
22.	ინკლუზიური და სპეციალური განათლება	+	+	+
23.	სოციალური მუშაობა არასრულწლოვნებთან	+	+	
24.	ბავშვთა და მოზარდთა მხარდაჭერის სერვისები ჯანდაცვაში	+	+	+
25.	ბავშვთა და მოზარდთა უფლებები	+	+	